

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## საქართველოს 1998 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განისაზღვროს ქვეყნის მაკროეკონომიკური ამოცანების შესაბამისად; უზრუნველყოფილ იქნეს ინფლაციის წლიური ღონის 6%-მდე შემცირება ერთობლივი შიდა პროდუქტის არანაკლებ 10%-ით ზრდის პირობებში, აგრეთვე ფართო ფულის მულტიპლიკატორის ზრდა და ფულის მიმოქცევის ტემპის შემცირება შესაბამისად 0,2 და 1,5 პუნქტებით. 2. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების გაზრდა 210 მლნ აშშ დოლარამდე და განახორციელოს მათი მართვა საიმედოობის, ლიკვიდურობისა და მომგებიანობის პრინციპების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომე გასაცემი კრედიტის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 102 მლნ ლარით, აღნიშნული კრედიტი გასცეს წლიურად 11%-იანი განაკვეთით;

გ) საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების მიზნით ხელი შეუწყოს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ინტერვენციები საკრედიტო რესურსების ბანკთაშორის აუქციონზე, გასცეს ლომბარდული კრედიტები საქართველოს კომერციულ ბანკებზე სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა გირავნობით, ფართოდ დანერგოს რეპოთეკაციები, შექმნას პირობები კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრებიდან ეროვნულ ბანკში მოსათავსებელი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის შესამცირებლად;

დ) საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დაზოგვისა და საგადახდებლო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით შეინარჩუნოს რეგულირებადი მცურავი კურსის რეჟიმი, შიდა სავალუტო ბაზარზე განახორციელოს ინტერვენციები ინფლაციის კონტროლისა და ლარის მნიშვნელოვანი საკურსო რყევების თავიდან აცილების მიზნით; ე) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ერთად მიიღოს დამატებითი ზომები ქვეყნის ტერიტორიაზე ლარის გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად დასამკვიდრებლად;

ვ) ბანკებს გარეთ არსებული ფულის საბანკო არხებში მოქცევის მიზნით განახორციელოს ღონისძიებები საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციისა და რუბლიზაციის ღონის მნიშვნელოვნად შესამცირებლად, ხელი შეუწყოს სადებეტო ბარათების დანერგვას; გააგაროს ქმედითი ღონისძიებები საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისა და კაპიტალიზაციის ღონის ამალღების მიზნით და შეანაბრეთა ინტერესების დასაცავად; კომერციული ბანკებისათვის შემოიღოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტვების მაჩვენებელი, შეამციროს მათ ინსაიდერებზე გასაცემი სესხების ზღვრული ოდენობა; უზრუნველყოს 10 უმსხვილესი კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის ყოველკვარტალური შემოწმება;

- ზ) დაიწყო კომერციულ ბანკებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემების დანერგვა;
- თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს იმ ბანკების ლიკვიდაცია, რომლითაც ლიცენზია ჩამოერთმევათ 1998 წლის პირველ იანვრამდე, ლიკვიდაციის პროცესში მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ბანკების, მენაბრეებისა და სხვა კლიენტების ინტერესები;
- ი) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბანკო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს კომერციული ბანკების ფილიალების ქსელის შენარჩუნების მექანიზმები; არ დაუშვას შიდა ემისია საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული პარამეტრების დარღვევით; 1998 წლის 1 ოქტომბრამდე განსაზღვროს არარეზიდენტი კომერციული ბანკების საქართველოში ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წესები და პროცედურები;
- კ) კომერციული ბანკების მიერ ფინანსური შუამავლის ფუნქციის სრულფასოვნად შესასრულებლად 1998 წლის ბოლომდე დაასრულოს დროის რეალურ რეჟიმში უნაღლო ანგარიშსწორების ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით მყისიერ ანგარიშსწორებას;
- ლ) გააგაროს ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის გაკოტრების მექანიზმის გამოყენებით, 1998 წლამდე ეკონომიკურ სუბიექტებზე გაცემული საბანკო გარანტიების საფუძველზე მის მიმართ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად; საგარანტიო ოპერაციები განახორციელოს "ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნათა მკაცრი დაცვით და არ დაუშვას 1998 წლის განმავლობაში იმპორტის მიზნით ახალი გარანტიების გაცემა.
3. ფულადსაკრედიტო სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები:
- ა) საბანკო დაწესებულებათა ლიცენზირების წესების შესახებ;
- ბ) საბანკო სისტემაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების პრინციპების შესახებ;
- გ) საბანკო დაწესებულებებში საკასო ოპერაციების შესახებ;
- დ) დებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებული რეპო ოპერაციების შესახებ;
- ე) კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო;
- ვ) საქართველოს ეროვნული ბანკისა და საკრედიტო დაწესებულებებისათვის საბუღალტრო აღრიცხვის პროცედურების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

*გურაბ ქვანია*

თბილისი,  
1998 წლის 12 ივნისი  
N 1427 - III